საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/55

08 აპრილი 2021 წ. ქ. ბათუმი

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ნათელა ტეტემაძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ" ბსუ-ს აკადემიურის საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N49 დებულების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (02.04.2021, ოქმი N27–20/5 და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (07.04.2021; №333594) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ნათელა ტეტემაძის სადისერტაციო ნაშრომის - „კოლხეთის პერკოლაციური ტორფნარების სფაგნუმის სახეობების მორფოლოგიურ-ანატომიური შესწავლა, კონსერვაცია და გონივრული გამოყენება" საჯარო დაცვა დაინიშნოს 2021 წლის 23 აპრილს, 14:00 საათზე, №328 აუდიტორიაში (ბსუ-ს II კორპუსი, მე-3 სართული, ბათუმი, ნინოშვილის №35/რუსთაველის N32).

2. დამტკიცდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი დარგობრივი (ბიოლოგია) სადისერტაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

   ა) რუსუდან ხუხუნაიშვილი - ბსუ-ს პროფესორი (ბიოლოგიის დოქტორი), კომისიის თავმჯდომარე;
   ბ) მარინა ნაგერვაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი, (ბიოლოგიის დოქტორი), კომისიის მდივანი;
   გ) დავით ბარათაშვილი - ბსუ-ს პროფესორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

დ) ნათელა ვარშანიძე -ბსუ-ს პროფესორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;
ე) თურმანიძე ნაზი -ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი;
ვ) მარიამი მეტრეველი- ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და კონსერვაციის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ბიოლოგიის დოქტორი;
ზ) გია ბოლქვაძე - ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და კონსერვაციის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ბიოლოგიის დოქტორი;
თ) ფერიდე ჩაიძე - ბათუმის ბოტანიკური ბაღის ეგზოტურ მცენარეთა კოლექციის განყოფილების კოორდინატორი, ბიოლოგიის დოქტორი;
ი) დავით ხარაზიშვილი - ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორის მოადგილე, ბიოლოგიის დოქტორი.

3. ბსუ-ს რექტორის ბრძანება და სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შესახებ ინფორმაცია განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე (საჯარო დაცვის თარიღის, დროის, ადგილის, დოქტორანტისა და სადისერტაციო თემის შესახებ).
4. ბრძანება სადისერტაციო საბჭოს მდივნის მიერ გაეგზავნოს დოქტორანტს და ფაკულტეტის დეკანის ოფისის მიერ განთავსდეს მის პირად საქმეში.
5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი ქ. დოლიძე) და მდივანს (ასოც. პროფესორი ნანა ზარნაძე).
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი: **მერაბ ხალვაში**